ჭმუნვის მახვილი

ჭმუნვის მახვილი გულსა მსომია:
მიკვირს, თუ სული რად არ მხდომია!

ნაცვლად იმედთა მათ ჩემთა, მზეო,
ჭოგრითით ჭვრეტა შეღამრჩომია.

განვშორებულვარ შენთანა შვებას,
თუმცა გონება შენთან ხომია:

კმა-ყოფის გზათა ვხედავ ხლართულად,
სურვილი უქმად გულს შემჭრომია:

განმხეცებია, ვაჰ, სიყვარული,
და გულსა მიხოკს, ვითა ლომია!

აქაით გეაჯ, მიბრუნო სული,
ვის ტრფიალებით ფერი მკრთომია.

არ გესმის ოხრვა, ოხრვის მიზეზო,
სასმენთა კარნი ჩემთვის გხშომია!

თუ აწ ვერ გპოვო შენ ჩემს მკურნალად,
ვჰსცნობ რომე ბედი სრულად მწყრომია:

რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი
შეჰსწყვიტოს, რადგან შესაწყდომია!